



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030461531091916

№ 04-132/ა

24 / მარტი / 2016 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ზოგიერთი ქვეპროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი დონისძიების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილებით (შემდგომში ტექსტში „დადგენილება“) დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში ტექსტში „პროგრამა“) დანართი N1-ის მე-2 მუხლის „ა“ (კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამა), „ბ“ (ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა), „გ“ (ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა), „დ“ (ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა), „ე“ (დღის ცენტრების ქვეპროგრამა), „ვ.ა“ (სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი), „ვ.ბ“ (საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი), „თ“ (დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), „კ“ (მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა), „ლ“ (მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა), „მ“ (სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა), „ნ“ (მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა), „ო“ (მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა) ქვეპუნქტების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის (პროგრამის დანართი 1.1) ფარგლებში:

- ა) დამტკიცდეს პროგრამის დანართი 1.1-ის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

მომსახურების (ბავშვთა ხელოვნული კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა - შემდგომში - კვების ვაუჩერი) მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენის ფორმა N1.1.1;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.1.1, წერილობით მიმართვასთან ერთად, მომსახურების მიმწოდებლის მიერ სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნეს ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით.

2. ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის (პროგრამის დანართი 1.2) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი ვაუჩერების შესახებ (ფორმა N1.2.1);

ა.ბ) ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა მომსახურების მიღების წინა თვეში ბენეფიციარის მიერ შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის შესახებ (ფორმა N1.2.2).

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N1.2.1 და N1.2.2 ფორმები წერილობით მიმართვასთან ერთად და ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონები სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში წარდგენილ უნდა იქნეს მომსახურების მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით;

გ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეული ვალდებულია, უზრუნველყოს:

გ.ა) ფორმა N1.2.1-ით წარმოდგენილი ინფორმაციის და ვაუჩერის შესაბამისი ტალონების შედარება, ინფორმაციის მიღების და სრულყოფილების ხელმოწერით დადასტურება (დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი შეინახება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ხოლო მეორე დაუბრუნდება მომსახურების მიმწოდებელს);

გ.ბ) ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონების ასახვა ელექტრონულ პროგრამაში “CHILD”;

გ.გ) ფორმა N1.2.2-ით წარმოდგენილი ინფორმაციის სააგენტოს ცენტრალურ აპარატში გადაგზავნა ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

3. „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის (პროგრამის დანართი 1.3) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა) „ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის წლიური გეგმის“ თანდართული ფორმა N1.3.1;

ა.ბ) „ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის წლიური გეგმის (ვრცელი ფორმა)“ თანდართული ფორმა N1.3.2;

ა.გ) „ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი მომსახურების შესახებ“ თანდართული ფორმა N1.3.3;

ა.დ) „ინფორმაცია დაგეგმილი მომსახურების კორექტირების შესახებ“ ფორმა N1.3.3.1;

ა.ე) „ინფორმაცია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების შესახებ“ ფორმა N1.3.4;

ა.ვ) „ინფორმაცია ბენეფიციარის მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ“ ფორმა N1.3.5;

ა.ზ) „ინფორმაცია ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილების შესახებ“ ფორმა N1.3.6;

ა.თ) „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის“ ქვეპროგრამის (პროგრამის დანართი 1.3.) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნობრივი ჯგუფისთვის გამოსაყენებული ფორმა „ინფორმაცია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების შესახებ“ ფორმა N1.3.7.

ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმა N1.3.1 წარმოადგენს ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსების პირველადი დაგეგმვის საფუძველს (მიუხედავად იმისა, ბენეფიციარი უკვე ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში სხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი განაცხადით), ივსება მომსახურების მიმწოდებლის მიერ შესაბამის სპეციალისტთა ინტერდისციპლინური გუნდის და ბენეფიციარის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით და შესაბამისი წერილობით მიმართვასთან ერთად, წარედგინება სააგენტოს ცენტრალურ აპარატს ან შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს (შემდგომში სააგენტოს) პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის/სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი

პირის მიერ მიმწოდებლისათვის მიმართვისა და ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. მასში კორექტირების შეტანის შემთხვევაში, კეთდება შესაბამისი აღნიშვნები, რომელიც ინახება მიმწოდებელთან და წარედგინება სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში;

გ) ამ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის წლიური გეგმა (ვრცელი ფორმა) ფორმა N1.3.2 ივსება მომსახურების მიმწოდებლის მიერ შესაბამის სპეციალისტთა ინტერდისციპლინური გუნდის და ბენეფიციარის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით და ინახება მიმწოდებელთან მომსახურების დამთავრებიდან არანაკლებ 6 წლის განმავლობაში. სარეაბილიტაციო გეგმაში კორექტირების შეტანის შემთხვევაში, კეთდება შესაბამისი აღნიშვნები. აღნიშნულ ფორმაში შეტანილი ინფორმაცია შესაძლებელია გაიცეს ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნისას, ასევე მიეწოდოს სააგენტოს მოთხოვნისთანავე, დოკუმენტური და/ან ელექტრონული სახით. აღნიშნული ფორმის შევსება არ ათავისუფლებს მომსახურების მიმწოდებელს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარმოების ვალდებულებისგან;

დ) ამ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი მომსახურების მიწოდების შესახებ“ თანდართული ფორმა N1.3.3 წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის საფუძველს და ნაერთ ცხრილს, რომელიც ფორმა N1.3.1 - თან ერთად, მიეწოდება სააგენტოს, როგორც დოკუმენტური ასევე ელექტრონული სახით და ასახავს ბენეფიციართა „ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის წლიური გეგმის“ მონაცემებს. აღნიშნული ფორმის მიხედვით, ხდება ბენეფიციართა სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის და სარეაბილიტაციო კურსების დაგეგმვის ელექტრონული ფორმის დოკუმენტის შედგენა-კორექტირება;

ე) ამ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ინფორმაცია დაგეგმილი მომსახურების კორექტირების შესახებ“ ფორმა N1.3.3.1 გამოიყენება „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილ მომსახურებაში შეტანილი კორექტირებისთვის;

ვ) ამ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმა N1.3.4 „ინფორმაცია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების შესახებ“ გამოიყენება დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი N1.3) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ივსება სრულყოფილად, ორ ეგზემპლარად, მომსახურების შესაბამისი კურსის დასრულების შემდეგ. ერთი ეგზემპლარი, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, წარედგინება სააგენტოს, არაუგვიანეს კურსის დამთავრების შემდეგ თვის 5 რიცხვის ჩათვლით და იგი წარმოადგენს მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ დოკუმენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან არანაკლებ სახელმწიფო პროგრამის მოქმედების პერიოდის შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში;

ზ) ამ პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმა N1.3.5 - „ინფორმაცია ბენეფიციარის მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ“;

ზ.ა) გამოიყენება დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი N1.3) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ.ბ) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შესაბამისი შემთხვევის დადგომიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, წარედგინება სააგენტოს და რომლის საფუძველზეც, ხდება ბენეფიციარის მომსახურებაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. ამ შემთხვევაში, უნდა მოხდეს ბენეფიციარის პროგრამაში ხელახლა ჩართვა ყველა აუცილებელი პროცედურის გავლით. აღნიშნული შეზღუდვის, ისევე როგორც რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილეობის სხვა პარამეტრებისა და ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის წლიური გეგმის შესახებ, ბენეფიციარის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი/სააღმზრდელი დაწესებულების უფლებამოსილი პირი ინფორმირებული უნდა იყოს მომსახურების მიმწოდებლის მიერ;

თ) ამ პუნქტის „ა.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ინფორმაცია ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილების შესახებ“ ფორმა N1.3.6 ივსება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტების და ლიმიტების გათვალისწინებით სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მიერ დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი N1.3) მე-3 მუხლის მე-2 „ბ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბენეფიციარის ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და ეგზავნება მომსახურების მიმწოდებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც, მომსახურების მიმწოდებლის მიერ ხდება ბენეფიციარის ინფორმირება;

ი) ამ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმა - „ინფორმაცია ბენეფიციართათვის

გაწეული მომსახურების შესახებ“ ფორმა N1.3.7 გამოიყენება დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი N1.3) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნობრივი ჯგუფისათვის, ივსება ორ ეგზემპლარად მომსახურების შესაბამისი კურსის დასრულების შემდეგ. ერთი ეგზემპლარი, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, წარედგინება სააგენტოს, არაუგვიანეს კურსის დამთავრების შემდეგი თვის 5 რიცხვის ჩათვლით და იგი წარმოადგენს მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ დოკუმენტს;

კ) სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (უფროსის მოვალეობის შემსრულებელს) მიენიჭოს უფლებამოსილება, სააგენტოს სახელით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიიღოს გადაწყვეტილება მამიებლის/ბენეფიციარის „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის“ ქვეპროგრამაში ჩართვის და/ან ამორიცხვის (ვაუჩერის გაუქმება) შესახებ;

ლ) წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლამდე, სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოდგენილი „ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი მომსახურების მიწოდების შესახებ“ ჩაითვალოს ვალიდურად.

4. „ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი 1.4) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის ფორმა N1.4.1;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.4.1 იგზავნება მომსახურების მიმწოდებლისაგან სააგენტოში არაუგვიანეს ინდივიდუალური კურსის დასრულების თვის მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით.

5. „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი 1.5) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი ვაუჩერების შესახებ (ფორმა N 1.5.1);

ა.ბ) დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა მომსახურების მიღების წინა თვეში ბენეფიციარების მიერ შესაბამისი დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობის შესახებ (ფორმა N 1.5.2).

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N1.5.1. და N1.5.2. ფორმები, წერილობით მიმართვასთან ერთად და ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონები სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში წარდგენილ უნდა იქნეს მომსახურების მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით.

გ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეული ვალდებულია, უზრუნველყოს:

გ.ა) ფორმა N1.5.1-ით წარმოდგენილი ინფორმაციის და ვაუჩერის შესაბამისი ტალონების შედარება, ინფორმაციის მიღების და სრულყოფილების ხელმოწერით დადასტურება (დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი შეინახება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ხოლო მეორე დაუბრუნდება მომსახურების მიმწოდებელს);

გ.ბ) ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონების ასახვა ელექტრონულ პროგრამაში “CHILD”;

გ.გ) ფორმა N1.5.2-ით წარმოდგენილი ინფორმაციის სააგენტოს ცენტრალურ აპარატში გადაგზავნა ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

6. „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი 1.6) მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით დამტკიცებული კომპონენტების ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა) „სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის“ კომპონენტის მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის ფორმა N1.6.1;

ა.ბ) „საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის ფორმა N1.6.2;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.6.1. და ფორმა N1.6.2. შესაბამის წერილობით მიმართვასთან, ვაუჩერებსა და ასევე, მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების

აქტებთან ერთად, სააგენტოს ცენტრალურ აპარატში წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს მომსახურების მიწოდების დასრულების მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით.

7. „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი 1.8) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს :

ა.ა) მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა N1.8.1 (ინფორმაცია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების შესახებ);

ა.ბ) მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული, ყოველდღიური მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა N1.8.2.

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N1.8.1. და N1.8.2. ფორმები მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, მომსახურების გაწევის შემდეგი თვის 5 რიცხვის ჩათვლით; ამასთან, ფორმა N1.8.1 – ით და N1.8.2 – ით წარმოდგენილი გაწეული მომსახურების დღეების რაოდენობებში სხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ფორმა N1.8.2.–ს.

გ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები (კერძოდ: სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები და თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის სერვისცენტრები) ვალდებული არიან, უზრუნველყონ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N1.8.1. და N1.8.2. ფორმებით წარმოდგენილი ინფორმაციის გადაგზავნა სააგენტოს ცენტრალურ აპარატში ერთ სამუშაო დღეში, ელექტრონული ფორმით, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) საშუალებით.

8. „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი 1.10) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა) მომსახურების გაწევის თაობაზე კონკრეტული მოსარგებლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ამ მომსახურების მიმწოდებლის ინფორმირების ფორმა N1.10.1;

ა.ბ) მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო თვეში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა N1.10.2 (ინფორმაცია წინა თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ).

ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.10.1 იგზავნება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულიდან მიმწოდებელთან და სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

გ) ამ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.10.2 მიმწოდებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ყოველი თვის 5 რიცხვის ჩათვლით და წარმოადგენს ინფორმაციას წინა თვეში ბენეფიციარის მიერ შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის შესახებ; მიმწოდებლებისაგან მიღებული ინფორმაცია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ სააგენტოს ცენტრალურ აპარატში წარმოდგენილ უნდა იქნეს, ამ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

9. „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი 1.11) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა) მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა N1.11.1 (ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურების სარგებლობის შესახებ);

ა.ბ) მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა N1.11.2. (ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ (ყოველდღიური ანგარიშის ფორმა));

ა.გ) მიმწოდებლის მიერ მობილური ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა N1.11.3 (მობილური ჯგუფის მომსახურებით უზრუნველყოფის ფორმა).

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N 1.11.1. და ფორმა N1.11.2. მიმწოდებლის მიერ შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, წარდგენილი უნდა იქნეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში,

მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის და უფლებამოსილი უფროსი სოციალური მუშაკის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით. ამასთან, ფორმა N1.11.1 – ით და N1.11. 2 – ით წარმოდგენილი გაწეული მომსახურების დღეების რაოდენობებში სხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ფორმა N1.11.2.–ს.

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.11.3 მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

დ) მიმწოდებლისაგან მიღებული ინფორმაცია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ სააგენტოს ცენტრალურ აპარატში წარმოდგენილ უნდა იქნეს მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში.

10. „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი 1.12) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა) მომსახურების გაწევის თაობაზე კონკრეტული ბენეფიციარის მიმართ მიღებული საოქმო გადაწყვეტილების შესახებ ამ მომსახურების მიმწოდებლის ინფორმირების ფორმა N1.12.1;

ა.ბ) მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო თვეში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა N1.12.2. (ინფორმაცია წინა თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ).

ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.12.1. იგზავნება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ მიმწოდებელთან და სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

გ) ამ პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.12.2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ყოველი თვის 5 რიცხვის ჩათვლით და წარმოადგენს ინფორმაციას წინა თვეში ბენეფიციარის მიერ შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის შესახებ; მიმწოდებლისაგან მიღებული ინფორმაცია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ სააგენტოს ცენტრალურ აპარატში წარმოდგენილ უნდა იქნეს მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

11. „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის (პროგრამის დანართი 1.13) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა. „ინდივიდუალური მომსახურების გეგმის“ თანდართული ფორმა (დანართი N1.13.1);

ა.ბ) „ინფორმაცია მაძიებელთა შესახებ“ თანდართული ფორმა N1.13.2;

ა.გ) „ინფორმაცია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების შესახებ“ (ფორმა N1.13.3);

ა.დ) „ინფორმაცია ბენეფიციარის მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილების შესახებ“ ფორმა N1.13.4;

ა.ე) „ინფორმაცია ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის შესახებ“ ფორმა N1.13.5.

ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმა N1.13.1 წარმოადგენს „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი N1.13) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მაძიებლის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის საფუძველს. იგი ივსება მომსახურების მიმწოდებლის მიერ შესაბამის სპეციალისტთა ინტერდისციპლინური გუნდის და ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის/უფლებამოსილი პირის (შემდგომში - „კანონიერი წარმომადგენლის“) ჩართულობით და შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, წარედგინება სააგენტოს ცენტრალურ აპარატს ან შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიმწოდებლისათვის მიმართვისა და ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. ბენეფიციარისთვის დაგეგმილ ღონისძიებათა კორექტირების შემთხვევაში, კეთდება შესაბამისი აღნიშვნები ინდივიდუალური მომსახურების გეგმაში. აღნიშნული ფორმა და შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება მიმწოდებელთან მომსახურების დამთავრებიდან არანაკლებ 6 წლის განმავლობაში. აღნიშნული ფორმის შევსება არ ათავისუფლებს მომსახურების მიმწოდებელს კანონმდებლობით სავალდებულო და/ან მისთვის მისაღები სხვა დოკუმენტების წარმოების ვალდებულებისგან;

გ) ამ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ინფორმაცია მაძიებელთა შესახებ“ თანდართული ფორმა N1.13.2 წარმოადგენს ნაერთ ცხრილს, რომელიც შესაბამის წერილობით მიმართვასთან და

„ინდივიდუალური მომსახურების გეგმასთან“ ფორმა N1.13.1 ერთად, მიეწოდება სააგენტოს, როგორც დოკუმენტური ასევე ელექტრონული სახით. აღნიშნული ფორმის მიხედვით ხდება მამიებელთა/ბენეფიციართა ელექტრონული ბაზის შედგენა;

დ) ამ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმა - „ინფორმაცია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების შესახებ“ ფორმა N1.13.3 გამოიყენება „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი N1.13) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ივსება სრულყოფილად, ორ ეგზემპლარად, მომსახურების შესაბამისი თვის დასრულების შემდეგ და წარმოადგენს მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ დოკუმენტს. ერთი ეგზემპლარი, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, წარედგინება სააგენტოს არაუგვიანეს მომსახურების გაწევის თვის შემდეგი თვის 5 რიცხვის ჩათვლით, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან არანაკლებ სახელმწიფო პროგრამის მოქმედების პერიოდის შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში;

ე) ამ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ინფორმაცია ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილების შესახებ“ ფორმა N1.13.4 გამოიყენება ქვეპროგრამის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ივსება სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მიერ ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს; სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტების და ლიმიტების შესაბამისად ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ყოველი თვის 5 რიცხვამდე და დაუყოვნებლივ ეგზავნება მომსახურების მიმწოდებელს, რის შემდეგაც, მომსახურების მიმწოდებლის მიერ ხდება ბენეფიციარის ინფორმირება;

ვ) ამ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმა - „ინფორმაცია ბენეფიციარის მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის შესახებ“ ფორმა N1.13.5 გამოიყენება „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი N1.13) მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ივსება მიმწოდებლის მიერ შემთხვევის დადგომისთანავე და შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, წარედგინება სააგენტოს. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ხდება ბენეფიციარის მომსახურებაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. აღნიშნული შეზღუდვის, ისევე როგორც პროგრამაში მონაწილეობის სხვა პარამეტრებისა და ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შესახებ, ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებული უნდა იყოს მომსახურების მიმწოდებლის მიერ;

ზ) სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (უფროსის მოვალეობის შემსრულებელს) მიენიჭოს უფლებამოსილება, სააგენტოს სახელით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიიღოს გადაწყვეტილება მამიებლის/ბენეფიციარის „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამაში“ ჩართვის და/ან ამორიცხვის (ვაუჩერის გაუქმება) შესახებ.

12. „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ (პროგრამის დანართი 1.14) ფარგლებში:

ა) დამტკიცდეს:

ა.ა) მომსახურების გაწევის თაობაზე კონკრეტული მოსარგებლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ამ მომსახურების მიმწოდებლის ინფორმირების ფორმა N1.14.1;

ა.ბ) მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო თვეში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა N1.14.2 (ინფორმაცია წინა თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ).

ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.14.1 იგზავნება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულიდან მიმწოდებელთან და სააგენტოს ცენტრალურ აპარატში, მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

გ) ამ პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა N1.14.2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ყოველი თვის 5 რიცხვის ჩათვლით და წარმოადგენს ინფორმაციას წინა თვეში ბენეფიციარის მიერ შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის შესახებ; მიმწოდებლებისაგან მიღებული ინფორმაცია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ სააგენტოს ცენტრალურ აპარატში წარმოდგენილ უნდა იქნეს მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

13. შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს სააგენტოს ცენტრალურ აპარატში შესაბამისი მიმწოდებლისთვის საანგარიშო პერიოდში ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ჯამურად გადასარიცხი თანხის გამოთვლის საფუძველს.

14. სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულებმა უნდა უზრუნველყონ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ტალონების დაცულობა, არანაკლებ სახელმწიფო პროგრამის მოქმედების პერიოდის შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში.

15. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (მ. ბუჩუკური) უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებასა და “სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის” ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.

16. სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულებმა უზრუნველყონ მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციათა ინფორმირება და საჭირო განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმების და ინფორმაციის მოწოდების პირობების თაობაზე.

17. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

18. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ზოგიერთი ქვეპროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 19 მაისის N04-145/ო ბრძანების პირველი-7 და მე-9 პუნქტები .

19. 2016 წლის 1 აპრილიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ზოგიერთი ქვეპროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 19 მაისის N04-145/ო ბრძანება.

20. წინამდებარე ბრძანება, გარდა მე-9 პუნქტისა, ძალაშია ხელმოწერისთანავე.

21. ამ ბრძანების მე-9 პუნქტი ძალაშია 2016 წლის 1 აპრილიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016წლის სახელმწიფო პროგრამა

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა

ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციაში წარდგენილი ვაუჩერების შესახებ

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

კოდი CHILD ბაზაში -----

ვაუჩერის მოქმედების პერიოდი -----

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი _____

	ვაუჩერის ნომერი	გვარი	სახელი	დაბადების თარიღი	პირადი N
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია

სააგენტოს ტერიტორიული ერთეული

ხელისმოწერა -----

ბ.ა.

ხელისმოწერა ----- თარიღი

შენიშვნა: ფორმა N1.2.1 წერილობით მიმართვასთან ერთად და ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონები სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში წარდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს მომსახურების მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვისა. მოხდება წარმოდგენილი ინფორმაციის და ვაუჩერის შესაბამისი ტალონების შედარება, ინფორმაციის მიღების და სრულყოფილების ხელმოწერით დადასტურება; დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი შეინახება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ხოლო მეორე დაუბრუნდება მომსახურების მიმწოდებელს.

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა
ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა
ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

მისამართი _____

კოდი CHILD ბაზაში _____

საანგარიშო პერიოდი _____

(თვე)

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი _____

N	ინფორმაცია ბენეფიციარის შესახებ				ინფორმაცია მომსახურებით სარგებლობის შესახებ			ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/ მინდობითი აღმზრდელის ხელმოწერა
	გვარი	სახელი	პირადი N	დაბადების თარიღი	სახეობა	ჯერადობა	განვითარების რამდენ სფეროში აქვს შეფერხება/ ჩამორჩენა	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1					ინდივიდ			
					ჯგუფური			
2					ინდივიდ			
					ჯგუფური			
3					ინდივიდ			
					ჯგუფური			
4					ინდივიდ			
					ჯგუფური			
5					ინდივიდ			
					ჯგუფური			

ხელმძღვანელი პირის ხელისმოწერა
თარიღი

ბ.ა.

შენიშვნა: ფორმა N1.2.2. მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევის თვის 15 რიცხვის ჩათვლით, სააგენტოს წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ბენეფიციარის მიერ წინა თვეში ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობის მონაცემები წინა თვის განმავლობაში მიღებული მომსახურების სახეობების, ჯერადობისა და მომსახურების ჩატარების ადგილის მითითებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობითი აღმზრდელის ხელმოწერით, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეული აგზავნის ცენტრალურ აპარატში არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

**სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა
დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა
ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ**

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მისამართი _____

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

N	გვარი	სახელი	პირადი N/ დაბადების მოწმობის N*	დაბადების თარიღი	მისამართი (იურიდიული) საკონტაქტო ტელეფონი	გადაწყვეტილებ ის მიმღები რეგიონული საბჭო	დაწესებულება ში მოთავსების თარიღი	დაწესებულე ბიდან ამორიცხვის თარიღი**	მომსახურების მიღების თვეში, დაწესებულება ში გატარებული დღეების რ-ბა
1									
2									
3									
4									
5									
6									
7									

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----

თარიღი ----- ბ.ა

შენიშვნა: ფორმა №1.8.1. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, მომსახურების გაწევის შემდეგ თვის 5 რიცხვის ჩათვლით. სააგენტოს ტერიტორიულ ერთეული აგზავნის ცენტრალურ აპარატში დაუყოვნებლივ.

* – ბავშვის შემთხვევაში იწერება დაბადების მოწმობის ნომერიც;

** – დაწესებულებიდან ამორიცხვის თარიღში მითითებული უნდა იყოს საბჭოს ოქმით ამორიცხვის თარიღი

**სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა
დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა
ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ (ყოველდღიური ანგარიშის ფორმა)**

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მისამართი _____

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

N	სახელი	გვარი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	
1																																		
2																																		
3																																		
4																																		
5																																		
6																																		
7																																		
8																																		
9																																		
10																																		
11																																		

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----

თარიღი ----- ბ.ა

შენიშვნა: ფორმა №1.8.2. მიმწოდებლის მიერ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში უნდა იქნეს წარდგენილი საანგარიშო პერიოდის თვეში სრული დაზუსტებული ინფორმაცია ყოველი შემდეგი თვის 5 რიცხვის ჩათვლით. სააგენტოს ტერიტორიულ ერთეული აგზავნის ცენტრალურ აპარატში დაუყოვნებლივ.

ფორმა N1.8.1–სა და N1.8. 2 –ს შორის გაწეული მომსახურების დღეების რაოდენობებში სხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ფორმა N1.8.2.–ს.

**სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა
დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა,
სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი
ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ**

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება -----

მისამართი -----

საანგარიშო პერიოდი -----

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი -----

N	ბენეფიციარის				ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი	სარეიტინგო ქულა	ვაუნჩერის ნომერი	მომსახურების დაფინანსების წილი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (%)	გაწეული მომსახურება				სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქონლი (მომსახურების) დაფინანსებისათ ვის მოთხოვნილი თანხა	საქონლის (მომსახურების) ღირებულების ბენეფიციარის მიერ ანაზღაურებული ოდენობა
	სახელი	გვარი	პირადი N	დაბადების თარიღი <small>(რიცხვი/თვე/წელი)</small>					სახელმწიფო პროგრამით (კომპონენტით) გათვალისწინებ ული საქონლის (მომსახურების) სახეობა	პროგრამის ფარგლებში ლიმიტი	საქონლის (მომსახურების) ფაქტიური ხარჯი	საქონლის (მომსახურების) მიწოდების დასრულების თარიღი <small>(რიცხვი/თვე/წელი)</small>		

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----

თარიღი ----- ბ.ა

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა
დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, საპროთეზო-
ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი ინფორმაცია
ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება -----

მისამართი -----

საანგარიშო პერიოდი -----

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი -----

N	ბენეფიციარის				ოჯახის საიდენტი ფიკაციო კოდი	სარეიტინგო ქულა	გაუქმების ნომერი	მომსახურების დაფინანსების წილი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (%)	გაწეული მომსახურება					სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქონლი (მომსახურების) დაფინანსებისათ ვის მოთხოვნილი თანხა	საქონლის (მომსახურების) ღირებულების ბენეფიციარის მიერ ანაზღაურებული თანხის ოდენობა	
	სახელი	გვარი	პირადი N	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელ ი)					სახელმწიფო პროგრამით (კომპონენტით) გათვალისწინებუ ლი საქონლის (მომსახურების) სახეობა (კოდი)	პროგრამის ფარგლებში ლიმიტი	საქონლის (მომსახურების) მომწოდებლის შიდა სტანდარტით გათვალისწინებ ული კოდი	საქონლის (მომსახურების) მიწოდების დასრულების თარიღი (რიცხვი/თვე/წე ლი)	საქონლის (მომსახურების) ფაქტიური ხარჯი			საქონლის (მომსახურების) დასრულების თარიღი (რიცხვი/თვე/წე ლი)

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----

თარიღი ----- ბ.ა

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა

დღის ცენტრების ქვეპროგრამა

ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

დღის ცენტრის მისამართი _____

კოდი CHILD ბაზაში – – – –

საანგარიშო პერიოდი _____

(თვე)

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი _____

	ვაუჩერის ნომერი	გვარი	სახელი	დაბადების თარიღი	პირადი N
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია

სააგენტოს ტერიტორიული ერთეული

ხელისმოწერა -----

ბ.ა.

ხელისმოწერა ----- თარიღი

შენიშვნა: ფორმა N1.5.1 წერილობით მიმართვასთან ერთად და ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონები სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში წარდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს მომსახურების მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვისა. მოხდება წარმოდგენილი ინფორმაციის და ვაუჩერის შესაბამისი ტალონების შედარება, ინფორმაციის მიღების და სრულყოფილების ხელმოწერით დადასტურება; დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი შეინახება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ხოლო მეორე დაუბრუნდება მომსახურების მიმწოდებელს.

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა

დღის ცენტრების ქვეპროგრამა

ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

დღის ცენტრის მისამართი _____

კოდი CHILD ბაზაში – – – –

საანგარიშო პერიოდი _____

(თვე)

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი _____

N	ინფორმაცია ბენეფიციარის შესახებ			თვის განმავლობაში გატარებული დღეების რაოდენობა	ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა
	გვარი	სახელი	პირადი N		
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----
 თარიღი ----- ბ.ა.

შენიშვნა: ფორმა N1.5.2. მიმწოდებელი ვალდებულია, არაუგვიანეს მომსახურების გაწევისთვის 15 რიცხვის ჩათვლით, სააგენტოს წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ბენეფიციარის მიერ მომსახურების მიღების წინა თვეში შესაბამისი დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მონაცემები, რაც დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის ან ქმედუწუნარო ბენეფიციარის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის ხელმოწერით; სააგენტოს ტერიტორიულ ერთეული აგზავნის ცენტრალურ აპარატში არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა
მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა
ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის მისამართი _____

სერვისის ტიპი _____

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

N	გვარი	სახელი	პირადი N/ დაბადების მოწმობის N*	დაბადების თარიღი	სოცმუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების N და თარიღი	დაწესებულება ში მოთავსების თარიღი	დაწესებულები დან ამორიცხვის თარიღი**	მომსახურების მიღების თვეში, დაწესებულებაში გატარებული დღეების რ-ბა
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----

თარიღი ----- ბ.ა

შენიშვნა: ფორმა N1.11.1. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, მომსახურების გაწევის შემდეგი თვის 10 რიცხვის ჩათვლით. სააგენტოს ტერიტორიულ ერთეული აგზავნის ცენტრალურ აპარატში დაუყოვნებლივ.

* – დაწესებულებიდან ამორიცხვის თარიღში მითითებულია უფროსი სოციალური მუშაკის მიერ ამორიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თარიღი

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

ინფორმაცია ბენეფიციართა მომსახურებით სარგებლობის შესახებ (ყოველდღიური ანგარიშის ფორმა)

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

მისაფარ ბავშვთა თავშესაფრის მისამართი _____ სერვისის ტიპი _____

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

N	სახელი	გვარი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	
1																																		
2																																		
3																																		
4																																		
5																																		
6																																		
7																																		
8																																		
9																																		
10																																		
11																																		

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----

თარიღი -----

ბ.ა

უფლებამოსილი უფროსი სოციალური მუშაკის სახელი, გვარი ----- ხელისმოწერა -----

შენიშვნა: ფორმა №1.11.2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, მომსახურები გაწევის შემდეგი თვის 10 რიცხვის ჩათვლით. სააგენტოს ტერიტორიულ ერთეული აგზავნის ცენტრალურ აპარატში დაუყოვნებლივ.

ფორმა N1.11.1- სა და N1.11. 2 -ს შორის გაწეული მომსახურების დღეების რაოდენობებში სხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ფორმა N1.11.2.-ს.

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა
მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა
ინფორმაცია მობილური ჯგუფის მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

ხარჯების სახეები	წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება		
	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თანხა (ლარი)
წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება (გლობალ ბიუჯეტი)			3300 ლარი
ადამიანური რესურსი			
ფსიქოლოგი/პედაგოგი			
მღლოლი/ლოჯისტიკი			
მობილიზატორი/თანასწორ განმანათლებელი			
მიმდინარე ხარჯები			
მანქანის ხარჯი (საწვავი; დაზღვევა; ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯი)			
საკომუნიკაციო ხარჯი			
